საქართველოს სახალხო დამცველის საინფორმაციო ბიულეტენი

საქართველოს სახალხო დამცველი

№4 პერიოდული გამოცემა 2017 წ. აპრილი

გამოცემულია ევროკავშირის პროექტის „საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ხელშეწყობა" მხარდაჭერით

1. სახალხო დამცველის მისალმება

საქართველოს სახალხო დამცველი
უჩა ნანუაშვილი

შინაარსი:

1. სახალხო დამცველის მისალმება 1
2. სახალხო დამცველის საჯარო განცხადებები 3
3. სახალხო დამცველის რეკომენდაციები, წინადადებები და ზოგადი წინადადებები 4
4. სახალხო დამცველისა და სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობა 6
   სამოქალაქო განათლების მიზნით ჩატარებული ღონისძიებები 8
5. რეგიონული დეპარტამენტის პერიოდული საქმიანობა 9
6. წარმატებული საქმეები 10
7. მნიშვნელოვანი თარიღები 11
8. საერთაშორისო სიახლეები ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით 11
9. სახალხო დამცველის აპარატის ამბები 12

აპრილში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის დაარსების ოცი წლისთავი აღვნიშნეთ და ამ ფაქტთან დაკავშირებით საერთაშორისო კონფერენცია გავმართეთ თემაზე – **„ადამიანის უფლებათა მრავალმანდატიანი ეროვნული ინსტიტუტების ევოლუცია და გამოწვევები"**.

კონფერენცია საკმაოდ მასშტაბური და საინტერესო გამოვიდა; უამრავი ადამიანის უფლებათა დამცველი ჩამოვიდა სხვადასხვა ქვეყნიდან: ექსპერტები, ომბუდსმენები, ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების წარმომადგენლები, რომელთაც საკუთარი ქვეყნების გამოცდილება და საუკეთესო პრაქტიკა წარმოადგ-

ინეს. მოვიწვიეთ საერთაშორისო და სამოქალაქო საზოგადოების, ასევე საქართველოს პარლამენტის და მთავრობის წევრები. მონაწილეთა სიმრავლემ, კონფერენციაში მათმა ჩართულობამ და ქართული მედიის დიდმა ინტერესმა ადამიანის უფლებათა თვალსაზრისით არსებული მდგომარეობის, გამოწვევებისა და წარმატებებისადმი, ნათლად წარმოაჩინა, რომ სწორი მართებულით მივდივართ და იმედი მაქვს, ჩვენი 20 წლიანი მცდელობა – გავხადოთ ქვეყანა ადამიანის უფლებებისადმი უფრო მგრძნობიარე, ტოლერანტული, სტიგმისგან თავისუფალი, შედეგიანი იქნება. ამ იმედს კიდევ უფრო ამტკიცებს საერთაშორისო თანამეგობრობის მუდმივი თანადგომა.

განსაკუთრებული კმაყოფილება მინდა გამოვთქვა საქართველოს პრეზიდენტის გიორგი მარგველაშვილის გამოსვლის გამო, რომელმაც მხარდაჭერა გამოგვიცხადა და აღნიშნა, რომ ხელისუფლების ყველა შტომ უფრო მეტად უნდა გაითვალისწინოს სახალხო დამცველის რეკომენდაციები, რათა ქართული პოლიტიკური სისტემა მეტად იყოს ორიენტირებული ადამიანის უფლებების დაცვაზე და უფრო ეფექტურად ვაშენოთ დემოკრატიული, დასავლურ ღირებულებებზე დაფუძნებული სახელმწიფო.

კონფერენციაზე ჩვენი აპარატის საქმიანობაზე, გაზრდილ მანდატსა და შესაბამისად გაზრდილ პასუხისმგებლობაზე, ბოლო წლებში დანერგილ სიახლეებზე ვისაუბრე. უდავოა, რომ 20 წლის განმავლობაში სახალხო დამცველის აპარატმა სერიოზული ევოლუცია განიცადა. განვითარდა და ჩამოყალიბდა როგორც დამოუკიდებელი ინსტიტუტი, მოიპოვა მნიშვნელოვანი საერთაშორისო აღიარება. დღეს სახალხო დამცველი მუშაობს აბსოლუტურად ყველა უფლებაზე და მაქსიმალურად ვცდილობთ უყურადღებოდ არ დაგვრჩეს არცერთი სფერო, სადაც ადამიანის უფლებები დაცვას საჭიროებს.

აპრილში ასევე ვუმასპინძლეთ სახალხო დამცველის **საერთაშორისო მრჩეველთა საბჭოს**. გაეროს სპეციალურ მომხსენებელთან მაინა კიაისთან, ევროპის საბჭოს კოორდინატორთან ევა პასტრანასთან, ჰელსინკის კომიტეტის მრჩეველ ოგე ბორჩგრევინკთან და კონფლიქტებისა და თანამშრომლობის ექსპერტ იორგენ იოჰანსენთან ერთად გასული წლის საქმიანობა, მათ მიერ ჩვენთვის შემუშავებული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა და ქვეყანაში ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კუთხით გამოვლენილი ტენდენციები განვიხილეთ; ასევე საბჭოს ახალ რეკომენდაციებზე ვისაუბრეთ.

ძალიან დატვირთული, მნიშვნელოვანი და საინტერესო შეხვედრები მქონდა **სტრასბურგში**. ევროპის საბჭოს ვენეციის კომისიის პრეზიდენტთან ჯანი ბუკიკიოსთან, ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარ ნილს მუჟნიეკსთან, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეზიდენტ გიდო რაიმონდისთან, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტ პედრო აგრამუნტთან, კორუფციის წინააღმდეგ ევროსაბჭოს ჯგუფის აღმასრულებელ მდივანთან ჯან-

ლუკა ესპოზიტოსთან, ევროსაბჭოს პოლიტიკურ საქმეთა დირექტორატის ხელმძღვანელ ალექსანდერ გესელთან, ადამიანის უფლებათა დირექტორატის ხელმძღვანელ ხრისტოს ჯაკომოპულოსთან და ასევე ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მომხსენებლებთან.

შეხვედრებზე განვიხილე საქართველოში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის, სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის მუშაობისას გამოკვეთილი პოზიტიური ცვლილებები და არსებითი შენიშვნები; ასევე, სასამართლო სისტემის ხარვეზები, სამართალდამცველთა მხრიდან სავარაუდო არასათანადო მოპყრობის გახშირებულ ფაქტები და გამოძიების პრობლემები, დისკრიმინაციის კანონის იმპლემენტაციის გამოწვევები, ქალთა მიმართ ძალადობის საკითხები, ქვეყანაში არსებული მედიაგარემო და სხვა. ინფორმაცია მივაწოდე ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანთა უფლებათა მდგომარეობის და ადმინისტრაციულ საზღვარზე საქართველოს მოქალაქეების დაკავების შემთხვევებზე.

აპრილში საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტში ჩვენი რეკომენდაციების განხილვა გაიმართა. პარლამენტის წევრებს და 12 სამთავრობო უწყების ხელმძღვანელ პირებს მოკლედ გავაცანი 2016 წელს ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით გამოკვეთილი ტენდენციები და თემატიკა; რეკომენდაციები წარმოვადგინე და მათი შესრულების შესაძლებლობებზე ვისაუბრეთ.

კანონით მინიჭებული მანდატის ფარგლებში და გაეროს სპეციალური მომხსენებლის დუბრავკა სიმონოვიჩის რეკომენდაციით, აპრილიდან **ფემიციდის შემთხვევებზე ზედამხედველობა** დავიწყეთ. ამ მიზნით ჩავატარებთ სასამართლოს გადაწყვეტილებათა დეტალურ ანალიზს, შევისწავლით სამართალდამცავ უწყებებში მიმდინარე გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის შესახებ არსებულ ინფორმაციას და სტატისტიკურ მონაცემებს.

ქვემოთ მოცემულ საინფორმაციო ბიულეტენში ასევე, იხილავთ საჯარო განცხადებებს, სადაც სახალხო დამცველი ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შესახებ საკუთარ პოზიციას გამოხატავს, სხვადასხვა უწყებებისადმი შემუშავებულ რეკომენდაციებს; გაეცნობით ინფორმაციას სამოქალაქო განათლების მიზნით გამართულ სხვადასხვა სახის სემინარებისა და საინფორმაციო შეხვედრების შესახებ.

2. სახალხო დამცველის საჯარო განცხადებები

2.1. განცხადება კონსტიტუციის გადასინჯვის პროექტის შესახებ

21 აპრილი. სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის სამუშაო ჯგუფების მიერ მომზადებული კონსტიტუციის გადასინჯვის პროექტის შეფასებისას სახალხო დამცველმა კმაყოფილება გამოთქვა კონსტიტუციაში ინტერნეტთავისუფლებისა და გენდერული თანასწორობისკენ მიმართული დებულებების განსაზღვრისადმი; თუმცა, რამდენიმე საკითხისადმი მკვეთრად გამოხატული ნეგატიური პოზიცია აქვს. კერძოდ, პროექტში არ

არის გათვალისწინებული არც ეფექტიანი შრომის ინსპექციის და არც დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნის აუცილებლობა; არ დამდგარა საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების გაფართოების მიზანშეწონილობის საკითხი. სახალხო დამცველი არ იზიარებს კონსტიტუციური ცვლილების საჭიროებას სახალხო დამცველის არჩევის წესის შესახებ.

გარდა ამისა, სახალხო დამცველი უკმაყოფილოა კომისიის მუშაობის ფორსირებული რეჟიმით (რომელიც პროცესში სრულყოფილი მონაწილეობის შესაძლებლობას არ იძლევა) და გადაწყვეტილების მიღების წესის ბუნდოვანებით.

სახალხო დამცველი მოუწოდებს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიას და საქართველოს პარლამენტს გაითვალისწინოს სახალხო დამცველის მოსაზრებები და ასახოს ისინი კონსტიტუციის გადასინჯვის პროექტში.

2.2. სახალხო დამცველი რეპრესიული ნარკოპოლიტიკის ჰუმანური ნარკოპოლიტიკით შეცვლას მოითხოვს

12 აპრილი. სახალხო დამცველი ფრაგმენტულს უწოდებს საქართველოს მთავრობის მიერ პარლამენტში ინიცირებული „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონსა და თანმდევ აქტებში შესატანი ცვლილებების პროექტს და აღნიშნავს, რომ ცვლილებები ვერ უზრუნველყოფს ქვეყანაში მოქმედი რეპრესიული ნარკოპოლიტიკის ფუნდამენტურ ცვლილებას. ამასთან, ცვლილებები მხოლოდ ფორმალურად ეხმიანება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილ სტანდარტს ვინაიდან მასში არ არის გათვალისწინებული სასამართლოს მიერ ამ გადაწყვეტილების მიღების მთავარი მიზანი - ნარკოტიკული საშუალების მხოლოდ პირადი მოხმარების მიზნით შესაბამისი ოდენობით ფლობის და საკუთარი თავისთვის ზიანის მიყენების საფრთხის გამო ადამიანის მიმართ საპატიმრო სასჯელის გამოყენების არაკონსტიტუციურობა.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ ნებისმიერი ნარკოტიკული ან/და სხვა ფსიქოტროპული ნივთიერებების მოხმარებაზე ან/და პირადი მოხმარების მიზნით, შედარებით მცირე ოდენობით შეძენა, შენახვა, დამზადებაზე სასჯელის სახით არ უნდა იყოს გათვალისწინებული თავისუფლების აღკვეთა.

3. სახალხო დამცველის რეკომენდაციები, წინადადებები და ზოგადი წინადადებები

3.1. რეკომენდაცია შშმ ბავშვთა მინდობით აღზრდის სერვისში არსებული პრობლემების შესახებ

3 აპრილს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, უზრუნველყოს მინდობით აღზრდის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული შშმ ბავშვებისთვის ადეკვატური ზრუნვის შეთავაზება, მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ აუცილებელია განხორციელდეს მინდობით აღზრდის სერვისის სისტემატური ზედამხედველობა და ჯეროვანი მონიტორინგი, რათა შშმ ბავშვთა უფლებების რეალიზების ხარისხი და მათთვის გაწეული მომსახურება შეესაბამებოდეს ეროვნული კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებს, გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციასა და სხვა საერთაშორისო დოკუმენტებს.

3.2. წინადადება შინაგან საქმეთა მინისტრს შეკრების თავისუფლების შეზღუდვის საკითხთან დაკავშირებით

6 აპრილს საქართველოს სახალხო დამცველმა „ბავშვთა სამყაროს“ ხანძრის შედეგად დაზარალებული მოვაჭრეებისათვის შეკრების თავისუფლების შეზღუდვის საკითხის შესწავლის წინადადებით მიმართა შინაგან საქმეთა მინისტრს.

„ბავშვთა სამყაროს“ დაზარალებულ მოვაჭრეებს პოლიციელებმა არ მისცეს ტროტუარის განაპირა ნაწილში, ქვეითთა გადაადგილებისათვის ხელშეშლის გარეშე კარვის დადგმის საშუალება – 9 მარტს თბილისის საკრებულოს შენობასთან, ხოლო 21 მარტს მთავრობის კანცელარიის შენობის წინ.

აქციის დროს კარვის გაშლა შეკრების თავისუფლებით არის დაცული იმ შემთხვევაში, თუ არ იწვევს შენობის შესასვლელებისა და საავტომობილო გზების ბლოკირებას, დაწესებულებების საქმიანობის შეფერხებას. შესაბამისად, სახელმწიფოს მიერ აღნიშნული უფლებით სარგებლობის შეზღუდვა დაუშვებელია. აქციის მიმდინარეობისას კარვებისა და სხვა არამუდმივი კონსტრუქციების აღმართვის შესაძლებლობა ხაზგასმულია ასევე ეუთოს სახელმძღვანელო პრინციპებში მშვიდობიანი შეკრების თავისუფლებასთან დაკავშირებით.

საქართველოს სახალხო დამცველი მოითხოვს შინაგან საქმეთა სამინისტრომ შეისწავლოს შესაბამისი თანამშრომლების მიერ ჩადენილი კანონდარღვევა, გამოიკვლიოს, ხომ არ მოქმედებდნენ ისინი ზემდგომი თანამდებობის პირების მიერ გაცემული კანონსაწინააღმდეგო მითითებების შესაბამისად და შესწავლის შედეგების მიხედვით, დისციპლინური გადაცდომის ჩამდენი ყველა პირის მიმართ გამოიყენოს კანონით გათვალისწინებული ზომები.

3.3. რეკომენდაცია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან, იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს

11 აპრილს საქართველოს სახალხო დამცველმა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან, იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დევნილი ვ.კ.-ს უფლებების დარღვევის თაობაზე რეკომენდაციით მიმართა.

დევნილთა სავალდებულო რეგისტრაციის გაუვლელობის მიზეზით ვ.კ.–ს 2014 წლის იანვრიდან აღარ ერიცხებოდა შემწეობა. ვ.კ.-მ დევნილთა რეგისტრაცია იმავე წლის მაისში გაიარა და შესაბამისად აღმოიფხვრა დევნილთა შემწეობის დარიცხვის შეჩერების საფუძველი. მართალია, განმცხადებელს შემწეობის დარიცხვა განუახლდა, თუმცა მიუღებელი შემწეობა არ ანაზღაურებია, მიუხედავად იმისა, რომ ანაზღაურების საკითხს ითვალისწინებდა კანონმდებლობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სახალხო დამცველმა ვ.კ.-ს უფლებების დარღვევის ფაქტი დაადგინა და სამინისტროს მიუღებელი შემწეობის ანაზღაურების თაობაზე რეკომენდაციით მიმართა.

3.4. რეკომენდაცია პოლიციელების მხრიდან განხორციელებული სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტთან დაკავშირებით

13 აპრილს საქართველოს სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორს ბრალდებულის მიმართ პოლიციელთა მხრიდან განხორციელებული სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტზე გამოძიების დაწყების თაობაზე.

პენიტენციური დეპარტამენტის N8 დაწესებულებაში განთავსებულმა ბრალდებულმა მ.თ.–მ საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულს განუცხადა, რომ იგი 15 მარტს ძალის გამოყენებით დააკავეს უცნობმა ადამიანებმა, რომელთაც არ ეცვათ პოლიციის ფორმა, არ წარუდგენიათ სამსახურებრივი მოწმობა, არ განუმარტავთ დაკავების საფუძველი და მხოლოდ ავტომანქანაში იძულებით ჩასმის დროს უთხრეს რომ პოლიციელები იყვნენ.

დაკავების ოქმისა და N8 დაწესებულებაში შედგენილი გარეგნული დათვალიერების ოქმის თანახმად, ბრალდებულს აღენიშნებოდა დაზიანებები, რომლებიც მისი განმარტებით, დაკავების დროს მიიღო.

25 აპრილს სახალხო დამცველს საქართველოს მთავარი პროკურატურიდან შეატყობინეს, რომ თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში დაიწყო გამოძიება მ.თ.–ს დაკავებისას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მიერ შესაძლო სამსახურებრივი უფლებამოსილების ძალადობით გადამეტების ფაქტზე.

3.5. რელიგიის ნიშნით პირდაპირი დისკრიმინაცია საქართველოს საზღვრის კვეთისას

24 აპრილს სახალხო დამცველმა რელიგიის ნიშნით დისკრიმინაციის ფაქტზე რეკომენდაციით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სსიპ „შემოსავლების სამსახურს“ და მოუწოდა საბაჟო-გამშვებ პუნქტებზე საპასპორტო-სავიზო კონტროლი და თანმდევი საბაჟო პროცედურები რელიგიური ნეიტრალიტეტის დაცვით და ინდივიდუალურ საფუძველზე განახორციელონ.

რეკომენდაციაში აღნიშნულია, რომ სარფის საბაჟო-გამშვები პუნქტის კვეთისას, მუსლიმ პირებს აყოვნებენ და კითხვებს უსვამენ მათი გარეგნობის, რელიგიური აღმსარებლობის, ცხოვრების წესის შესახებ და ყველანაირ პირობას უქმნიან, რომ ნებაყოფლობით დათმონ თავიანთ საკუთრებაში არსებული რელიგიური ლიტერატურა.

საზღვრის დაცვა და კონტროლი სახელმწიფოს ერთ-ერთ მთავარ სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს, თუმცა, აღნიშნული ამოცანის მიღწევის სანაცვლოდ არ უნდა მოხდეს ადამიანის ძირითად უფლებებში იმგვარი ჩარევა, რომელიც მიზნის მიღწევის აუცილებელი საშუალება არ არის. ამ თვალსაზრისით, სახალხო დამცველი მიზანშეწონილად მიიჩნევს ცნობიერების ამაღლების მიზნით, ეტაპობრივად გადამზადდნენ საპასპორტო-სავიზო კონტროლისა და თანმდევი საბაჟო პროცედურების განმახორციელებელი თანამშრომლები.

3.6. ვეგან კაფე „კივის“ თანამშრომელთა დისკრიმინაცია

25 აპრილს საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა ფიზიკურ პირს – კერძო მესაკუთრეს, რომელმაც გარეგნობის და სავარაუდო სექსუალური ორიენტაციის გამო იმ შენობის ქირავნობის ხელშეკრულება მოშალა, რომელშიც განმცხადებლებს კაფე ჰქონდათ გახსნილი.

რეკომენდაციაში სახალხო დამცველმა მიუთითა, რომ მესაკუთრის მიერ ქირავნობის ხელშეკრულების მოშლის რეალური მიზეზი ემყარებოდა მის სტერეოტიპულ განწყობებს კონკრეტული გარეგნობის მქონე ადამიანების და ლგბტ ჯგუფთან მათი სავარაუდო ასოცირების შესახებ. ადამიანის უფლების შელახვა ვერ გამართლდება საზოგადოებაში დამკვიდრებული თუ კონკრეტული ადამიანისთვის დამახასიათებელი სტერეოტიპული შეხედულებებით, რომელიც რომელიმე ჯგუფს თუ ადამიანს საკუთარი სუბიექტური წარმოდგენების საფუძველზე აღიქვამს და მათგან ილუზორულ საფრთხეს ელის.

სახალხო დამცველმა კერძო მესაკუთრეს მოუწოდა, სახელშეკრულებო თუ სხვა სახის ურთიერთობებში, მომავალში ნებისმიერი ნიშნის გამო დისკრიმინაციული მოპყრობისაგან თავი შეიკავოს.

4. სახალხო დამცველისა და სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობა

4.1. კანონი ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ

სახალხო დამცველი არაკონსტიტუციურად მიიჩნევს საკანონმდებლო ცვლილებებს, რომლის შესაბამისად, ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ კანონში ე.წ. ფარული მიყურადების ტექნიკური შესაძლებლობა კვლავ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ხელში რჩება. ეს კი ეწინააღმდეგება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2016 წლის 14 აპრილს მიღებულ გადაწყვეტილებას. შესაბამისად, სახალხო დამცველი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსგან ე.წ. მოსმენების მომწესრიგებელი ახალი კანონმდებლობის გამარტივებული წესით არაკონსტიტუციურად ცნობას მოითხოვს.

ამ საკითხთან დაკავშირებით, **5 აპრილს** საქართველოს სახალხო დამცველი და სახალხო დამცველის პირველი მოადგილე ნათია კაციტაძე მოძრაობა „ეს შენ გეხებაში“ მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეხვდნენ და შემდგომ თანამშრომლობაზე შეთანხმდნენ.

4.2. შშმ პირთა უფლებების კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და იმპლემენტაციის მონიტორინგის საკონსულტაციო საბჭოს შეხვედრა

5 აპრილს საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და იმპლემენტაციის მონიტორინგის საკონსულტაციო საბჭოს მეათე სამუშაო შეხვედრა გაიმართა, რომელზეც შშმ პირთა უფლებების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ირინე ობოლაძემ 2016 წლის საპარლამენტო ანგარიშში შშმ პირთა საკითხებზე გაცემული რეკომენდაციების თაობაზე მოხსენება წარმოადგინა. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საქართველოს მთავრობის 41–ე დადგენილებით დამტკიცებული „შშმ პირთათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტის“ შეფასებისათვის საჭირო ღონისძიებების განხილვას, რომელთა განხორციელებას საქართველოს სახალხო დამცველი უახლოეს მომავალში გეგმავს.

4.3. თანასწორობის ორგანოების შესახებ რეგიონული სემინარი

6-7 აპრილს, თბილისში, ევროპული კომისიის აღმოსავლეთ პარტნიორობის ტექნიკური დახმარების ინსტიტუტის (TAIEX) ფარგლებში, თანასწორობის ორგანოების ევროპულ ქსელთან (Equinet) და საქართველოს სახალხო დამცველის ოფისთან თანამშრომლობით, გაიმართა რეგიონული სემინარი თანასწორობის ორგანოების გაძლიერების და ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის საკითხების შესახებ. სემინარს სახელმწიფო უწყებების, საერთაშორისო ინსტიტუტების და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

სემინარის მიზანი იყო ევროკავშირის და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონის სახელმწიფოების (სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელარუსი, საქართველო, მოლდოვა, უკრაინა) თანასწორობის საკითხებზე მომუშავე ინსტიტუტების მიერ გამოცდილების გაზიარება. საქართველოს გამოცდილების შესახებ სახალხო დამცველის ოფისის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის და თანასწორობის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა ისაუბრეს.

4.4. სახალხო დამცველის აპარატის ახალი საკომუნიკაციო სტრატეგია

7 აპრილს საქართველოს სახალხო დამცველმა საჯარო უწყებების, სამოქალაქო სექტორისა და მედიის წარმომადგენლებს ახალი საკომუნიკაციო სტრატეგია წარუდგინა. დოკუმენტი მოიცავს კომუნიკაციის სტრატეგიულ ქოლგას და კონკრეტულ რეკომენდაციებს საზოგადოებასთან ურთიერთობის წარმოების კუთხით, რაც ერთი მხრივ, სახალხო დამცველის აპარატის გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას გაზრდის, ხოლო მეორეს მხრივ ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროს და აქტუალური საკითხების ეფექტიან კომუნიკაციას შეუწყობს ხელს.

დოკუმენტი პიარისა და მარკეტინგული კომუნიკაციების კომპანია „ჯეპრამ“ ევროკავშირის დაფინანსებული პროექტის „დისკრიმინაციის ყველა ფორმის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში“ მხარდაჭერის ფარგლებში მოამზადა. სტრატეგიის შემუშავებაში ასევე ჩართულები იყვნენ სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლები.

4.5. სახალხო დამცველმა ქვეყნის გარეთ საქართველოს მოქალაქის უფლების დარღვევის მონიტორინგი განახორციელა

7 აპრილს სარფის სასაზღვრო-გამშვები პუნქტის თურქულ მონაკვეთზე საქართველოს მოქალაქე ცემეს, რის გამოც მისი საავადმყოფოში გადაყვანა გახდა აუცილებელი. ინფორმაციის გავრცელებისთანავე სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელმა თურქეთის ქალაქ ხოფას საავადმყოფოში პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ მყოფი საქართველოს მოქალაქე რ.ლ რამდენჯერმე მოინახულა.

სახალხო დამცველის აპარატის აჭარის სამმართველო ინტენსიურად თანამშრომლობდა თურქეთში საქართველოს კონსულთან და საკონსულოს წარმომადგენლებთან. თავდაპირველად, თურქული მხარე ნასვამ მდგომარეობაში მყოფი საქართველოს მოქალაქის მხრიდან თურქი მესაზღვრე პოლიციელის მიმართ წინააღმდეგობაზე და ფიზიკურ შეურაცხყოფაზე საუბრობდა, რასაც თითქოსდა მისი დაკავება მოჰყვა. თუმცა, ვიდეო ჩანაწერების დათვალიერებისა და დაკავებული რ.ლ.–ს თურქეთის პროკურატურაში დაკითხვის შემდეგ, მას ბრალი მოეხსნა და მის მიმართ განხორციელებული სავარაუდო ფიზიკური ძალადობის გამო დაზარალებულად იქნა ცნობილი.

4.6. შეხვედრა დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის წარმომადგენლებთან

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის პოპულარიზაციის ღონისძიებების ფარგლებში **13 აპრილს** შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დეპარტამენტის თანამშრომლებმა შეხვედრა გამართეს დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის წარმომადგენლებთან.

შეხვედრის მიზანი იყო ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელთა ინფორმირებულობის გაზრდა შშმ პირთა უფლებების და მათ წინაშე არსებული გამოწვევების თაობაზე. აპარატის თანამშრომლებმა ისაუბრეს საქართველოს სახალხო დამცველის მანდატზე, შშმ პირთა უფლებების კონვენციაზე, ადგილობრივ დონეზე ამ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოების შექმნის მნიშვნელობაზე, მისაწვდომობის სტანდარტების უზრუნველყოფის აუცილებლობაზე და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე.

4.7. სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნულმა მექანიზმმა რეკომენდაციების შესრულების ადვოკატირებისა და კონტროლის სისტემის დახვეწაზე მუშაობა დაიწყო

19-20 აპრილს, საქართველოს სახალხო დამცველის პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლებმა და წამების პრევენციის ასოციაციის წარმომადგენელმა, მრჩეველმა ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების სფეროში ბენ ბაკლენდმა სამუშაო შეხვედრა ჩაატარეს, რომელზეც რეკომენდაციების შესრულების ადვოკატირების და კონტროლის კუთხით არსებული პრაქტიკის ძლიერი და სუსტი მხარეები განიხილეს, იმსჯელებს გამოწვევების დაძლევის შესაძლო გზებზე.

შეხვედრა ევროკავშირის პროექტის „სახალხო დამცველის მხარდაჭერა II“ ფარგლებში გაიმართა.

4.8. ანტიდისკრიმინაციული მექანიზმის გაძლიერების აუცილებლობის შესახებ

25 აპრილს საქართველოს სახალხო დამცველმა წერილობით მიმართა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს – დაჩქარდეს ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის გაუმჯობესების მიზნით განსახორციელებელი ცვლილებების განხილვა. მიმართვაში სახალხო დამცველმა აღნიშნა, რომ დისკრიმინაციასთან დაკავშირებული საქმეების სრულყოფილ შესწავლას აფერხებს ის გარემოება, რომ კერძო სამართლის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს სახალხო დამცველისთვის გამოთხოვილი ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება არ აქვთ.

სახალხო დამცველის მიერ წარდგენილი საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი ასევე მოიცავს ცვლილებებს კერძო პირებისთვის სახალხო დამცველის რეკომენდაციის შესრულების მიზნით გატარებული ღონისძიებების წარმოდგენის დავალდებულების, სასამართლოსთვის მიმართვის ვადის გაზრდის, მტკიცების ტვირთის სტანდარტის გაძლიერების და ადმინისტრაციული სამართალწარმოებისას სახალხო დამცველისთვის საქმის შესწავლის შესაძლებლობის მინიჭების შესახებ.

კანონმდებლობაში აღნიშნული ცვლილების განხორციელება საქართველოსა და ევროკავშირს შორის სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმითაც იყო გათვალისწინებული, თუმცა ვალდებულება არ შესრულებულა.

4.9. საინფორმაციო შეხვედრები კასპის მუნიციპალიტეტის სოფლებში

25 აპრილს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ფერმასა და აღაიანის საჯარო სკოლებში ეთნიკური ქართველებისა და აზერბაიჯანელებისთვის ადრეულ ასაკში ქორწინებასთან დაკავშირებით საინფორმაციო შეხვედრები ჩაატარეს.

მონაწილეებმა მიიღეს ინფორმაცია ადრეულ ასაკში ქორწინების რისკებზე, ოჯახში ძალადობის, ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე და საზოგადოებაში დამკვიდრებულ გენდერულ როლებზე; გაეცნენ ადრეულ ასაკში ქორწინებისა და ოჯახში ძალადობის მიმართულებით არსებულ კანონმდებლობას; ისაუბრეს საქართველოს სახალხო დამცველის მანდატის და გენდერული მიმართულებით ადამიანის უფლებების დაცვის სერვისების შესახებ.

დისკუსიაზე განიხილეს იძულებითი ქორწინების შემთხვევები, თუმცა აღნიშნეს, რომ კანონმდებლობაში შესულმა ცვლილებებმა ადრეულ ასაკში ქორწინების შემთხვევების შემცირება გამოიწვია.

4.10. არასრულწლოვანი გოგონას გატაცების შესახებ

27 აპრილს მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ თაქალოში 17 წლის გოგონა სკოლის მიმდებარე ტერიტორიიდან ქორწინების მიზნით გაიტაცეს. სახალხო დამცველის აპარატი პირველივე დღიდან სწავლობს შემთხვევას; სახალხო დამცველის წარმომადგენელი შეხვდა და პირადად ესაუბრა გოგონასა და მისი ოჯახის წევრებს. საგულისხმოა, რომ პოლიციას დღენახევარი დასჭირდა გოგონას ადგილსამყოფელის დასადგენად.

მიუხედავად იმისა, რომ გოგონა ძალადობას უარყოფს, სახალხო დამცველმა შეშფოთება გამოთქვა მომხდარი ფაქტის გამო. ზოგადად, არასრულწლოვანთა ქორწინებას, განსაკუთრებით „მოტაცების“ კონტექსტის გათვალისწინებით, შესაძლოა პოტენციურად გავლენა ჰქონდეს ბავშვის ჯანმრთელი განვითარების, ძალადობისგან თავისუფალ გარემოში ცხოვრებისა და განათლების მიღების უფლებაზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამართალდამცავი უწყებების ეფექტური რეაგირება, რათა არ მოხდეს ამგვარი ქმედების ნორმალიზება საზოგადოებაში.

სამოქალაქო განათლების მიზნით ჩატარებული ღონისძიებები

4.11. სახალხო დამცველის ადამიანის უფლებათა აკადემიისა და ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის ტრენინგი

5 აპრილს საქართველოს სახალხო დამცველის ადამიანის უფლებათა აკადემიისა და ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის ორგანიზებით, ნატოს დღეების ფარგლებში მმართველი და საშუალო რგოლის სამხედრო მოსამსახურეებისა და იურისტებისათვის ტრენინგი გაიმართა.

სამხედრო სამსახურში ადამიანის უფლებებზე გამართულ ტრენინგს სახალხო დამცველის აპარატის თავდაცვის სფეროში ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის უფროსი თამარ გაბიანი და საქართველოს ატლანტიკური საბჭოს წევრი გიორგი მუჩაიძე უძღვებოდნენ. ტრენინგზე განიხილეს კონცეფცია – მოქალაქე სამხედრო ფორმაში, საერთაშორისო კონვენციები და ხელშეკრულებები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციას სამხედრო მოსამსახურეთა უფლებების ჭრილში; ისაუბრეს საერთაშორისო მისიებზე, ნატოს სტანდარტებსა და ნატო-საქართველოს თანამშრომლობაზე.

5. რეგიონული დეპარტამენტის პერიოდული საქმიანობა

იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამმართველო

5.1. საინფორმაციო შეხვედრები მოსწავლეებთან და სტუდენტებთან

10 აპრილი იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამმართველოს უფროსი მადონა ბასილაძე ქუთაისი N14, N32 და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბანოჯის საჯარო სკოლის მოსწავლეებს შეხვდა და სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობა და მანდატი გააცნო; საუბრისას განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილეს ბავშვთა უფლებებზე, ბავშვთა მიმართა ძალადობისა და ადრეულ ასაკში ქორწინების საკითხებზე.

შეხვედრის დასასრულს მონაწილეებს სახალხო დამცველის აპარატის მანდატისა და ადრეული ქორწინების შესახებ საინფორმაციო ბროშურები გადასცეს.

21 აპრილს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამმართველოს თანამშრომლებმა სახალხო დამცველის აპარატის 20 წლის იუბილისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში სტუდენტებისთვის გამართეს დისკუსია თემაზე „სახალხო დამცველის როლი და გამოწვევები“. სახალხო დამცველის აპარატის შექმნისა და საქმიანობის შესახებ ვიდეო რგოლის ჩვენების შემდეგ სამმართველოს თანამშრომლებმა ისაუბრეს სახალხო დამცველის ისტორიაზე, მანდატზე და 20 წლის გამოცდილებაზე. სახალხო დამცველის აპარატის მიღწევებსა, წარმატებასა და გამოწვევებზე.

შეხვედრის დასასრულ დისკუსიის მონაწილეებს გადაეცათ სახალხო დამცველის საქმიანობის, მანდატისა და სხვადასხვა უფლებების შესახებ საინფორმაციო ბროშურები.

5.2. შეხვედრა ამბროლაურის მოსახლეობასთან

8, 9 და 11 აპრილს სახალხო დამცველის წარმომდგენელი სოფიო ხვადაგიანი ამბროლაური მუნიციპალიტეტის ლიხეთის თემის რწმუნებულსა და თემის მოსახლეობას შეხვდა და სახალხო დამცველის მანდატი გააცნო. შეხვედრაზე ადგილობრივმა მოსახლეობამ ლიხეთის, აბარსა და ურავის პრობლემებზე გააამახვილა ყურადღება. საუბრისას გაირკვა, რომ სოფლებს დატბორვისა და მეწყერის საფრთხე ემუქრება, ასევე საფრთხის შემცველია სოფელ ურავის ტერიტორიაზე მდებარე ყოფილი ქიმიური ქარხნის ნარჩენებიც.

5.3. დევნილთა კოლექტიური ჩასახლების ცენტრი სამტრედიაში

13 აპრილს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამმართველო უფროსი მადონა ბასილაძე და სამმართველოს თანამშრომელი თამთა ჩეჩელაშვილი სამტრედიის მუნიციპალიტეტში ყოფილი ბალნეოლოგიური კურორტის ტერიტორიაზე არსებულ კოლექტიური ჩასახლების ცენტრში მცხოვრებ იძულებით გადაადგილებულ პირებს შეხვდნენ და დევნილთა საცხოვრებელი პირობებისა და განსახლების საკითხებთან დაკავშირებით სახალხო დამცველის მანდატი გააცნეს. დევნილებმა თავიანთ რთულ საცხოვრებელ პირობებზე ისაუბრეს.

დათვალიერების შედეგად ცხადი გახდა, რომ შენობას დაზიანებული აქვს სახურავი, მოძველებული კარ-ფანჯრები გათბობით უზრუნველყოფის საშუალებას არ იძლევა, კედლები ნესტიანია და შეენიშნება სოკოვანი წარმონაქმნი, საკანალიზაციო მილები მოძველებული და ამორტიზირებულია.

5.4. შეხვედრა ამერიკის შეერთებული შტატების ელჩთან

29 მარტს სახალხო დამცველის აპარატის იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამმართველოს უფროსი მადონა ბასილაძე საჯარო სკოლების სამოქალაქო კლუბის წევრებთან ერთად ამერიკის ელჩს იან კელის შეხვდა და სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებაში სახალხო დამცველის აპარატის როლსა და მნიშვნელობაზე ისაუბრა.

შეხვედრა ქუთაისის განათლების განვითრებისა და დასაქმების ცენტრის პროგრამის „ტოლერანტობისა, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერის“ ფარგლებში გაიმართა.

შიდა ქართლის ოფისი

5.5. შეხვედრა იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლების საკითხებზე

8 აპრილს სახალხო დამცველის აპარატის რეგიონული დეპარტამენტის გორის ოფისის წარმომადგენელი დალი ჯანიაშვილი იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებსა და იძულებით გადაადგილებულმა პირებთან ერთად გორში, ე.წ. „ავტოკემპინგის“ ტერიტორიაზე მცხოვრებ დევნილთა განსახლების პროცესთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხები განიხილეს.

შეხვედრა იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია „თანხმობის“ ორგანიზებით გაიმართა.

5.6. საინფორმაციო შეხვედრა სოფელ ზეღდულეთის საჯარო სკოლაში

25 აპრილს სახალხო დამცველის აპარატის რეგიონალური დეპარტამენტის გორის ოფისის წარმომადგენელი დალი ჯანიაშვილი გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ზეღდულეთის საჯარო სკოლის მოსწავლეებს, პედაგოგებსა და მშობლებს სახალხო დამცველის მანდატი გააცნო, თემატური ბროშურები დაურიგა და მათთვის მნიშვნელოვან საკითხებზე ესაუბრა.

კახეთის ოფისი

5.7. შეხვედრა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ეთნიკურ აზერბაიჯანელებთან

7 და 8 აპრილს კახეთის საკონტაქტო პირი ეკა გოგაშვილი ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის აზერბაიჯანელებით დასახლებული თემის სოფელ კაბალის, ყარაჯალის, უზუნთალისა და განჯალის მოსახლეობას და თვითმმართველობის წარმომადგენლებს შეხვდა და ეთნიკური უმცირესობების უფლებებთან დაკავშირებით სახალხო დამცველის წლიურ ანგარიშში ასახული პოზიცია გააცნო; ისაუბრა სახალხო დამცველის უფლებამოსილებაზე და უფლების დარღვევის შემთხვევაში სახალხო დამცველისადმი მიმართვის პროცედურებზე. შეხვედრაზე თემში არსებული პრობლემები და მათი გადაჭრის გზებიც განიხილეს.

6. წარმატებული საქმეები

6.1. სახალხო დამცველის რეკომენდაციით, პოლიციელთა მიერ ბრალდებულის მიმართ განხორციელებულ არაადამიანური მოპყრობის ფაქტზე გამოძიება დაიწყო

საქართველოს სახალხო დამცველმა მთავარ პროკურორს ა.გ.-ს მიმართ სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების მხრიდან შესაძლო არასათანადო მოპყრობის ფაქტზე გამოძიების დაწყების წინადადებით **14 მარტს** მიმართა. სახალხო დამცველის წინადადების საფუძველზე **7 აპრილს** დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურაში დაიწყო გამოძიება 2015 წლის 5 სექტემბერს შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ ბრალდებულ

ა.გ.–ს მიმართ განხორციელებულ არაადამიანური მოპყრობის ფაქტზე.

უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ა.გ.–სა და მისი ოჯახის წევრების არაერთგზის მიმართვისა, პროკურატურა ერთ წელზე მეტი დროის მანძილზე არ იწყებდა გამოძიებას.

6.2. სახალხო დამცველის ძალისხმევით, მოქალაქეს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაცია აღუდგა

11 აპრილს სახალხო დამცველს სოციალური მომსახურების სააგენტოდან შეატყობინეს, რომ მისი მიმართვის საფუძველზე ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ერთ–ერთ ოჯახს „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრაცია აღუდგა, ხოლო იმ სოციალურ აგენტს, რომლის ოქმის საფუძველზეც ოჯახს მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაცია 1 წლის ვადით გაუუქმდა, დისციპლინური სასჯელი განესაზღვრა.

მ.ა.-ს ოჯახი საარსებო შემწეობას 2017 წლის თებერვლამდე იღებდა. სოციალური მომსახურების სააგენტოს უფლებამოსილმა პირმა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების შეწყვეტის შესახებ ოქმი იმ მიზეზით შეავსო, რომ თითქოსდა, ოჯახმა მას ქონების/დოკუმენტაციის დათვალიერების საშუალება არ მისცა. განმცხადებელი აღნიშნავდა, რომ მსგავს ფაქტს ადგილი არ ჰქონია და სახალხო დამცველის აპარატის მხრიდან ითხოვდა დახმარებას.

სახალხო დამცველმა სოციალური მომსახურების სააგენტოს ოჯახის სოციალური-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების და შესაბამისი ღონისძიებების მოთხოვნით მიმართა.

7. მნიშვნელოვანი თარიღები

7.1. აუტიზმის მსოფლიო დღე – ავტონომია და უფლებაუნარიანობა

2 აპრილი აუტიზმის შესახებ ცნობიერების ამაღლების მსოფლიო დღეა. საქართველოში განსაკუთრებით მწვავეა აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა პრობლემები. გამოწვევაა მათზე მორგებული ჯანმრთელობის დაცვისა და აბილიტაცია/რეაბილიტაციის სერვისების, ინკლუზიური განათლების მიღების შესაძლებლობა. სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს მათთვის საჭირო პროგრამებისა და მომსახურების შექმნას, ინკლუზიურ საგანმანათლებლო პროცესში ჯეროვან ჩართვას.

საქართველოს სახალხო დამცველი კიდევ ერთხელ მოუწოდებს სახელმწიფოს გადადგას დროული და ქმედითი ნაბიჯები არსებული პრობლემების მოგვარების მიზნით. უზრუნველყოს აუტისტური სპექტრის მქონე პირებისთვის აუცილებელი პროგრამების შექმნა, სერვისების განვითარება და გამართული ფუნქციონირება. პოზიტიური ღონისძიებების გატარებით აქტიურად დაუჭიროს მხარი მათი უფლებების დაცვას.

8. საერთაშორისო სიახლეები ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით

8.1. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება აზერბაიჯანის წინააღმდეგ

13 აპრილს ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულმა სასამართლომ 2005 წლის 2 მარტს მოკლული ცნობილი ჟურნალისტის ელმარ ჰუსეინოვის საქმესთან დაკავშირებით აზერბაიჯანის მხრიდან ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის დაღვევა დაადგინა.

ჟურნალ „მონიტორის“ რედაქტორი ელმარ ჰუსეინოვი, რომელიც ცნობილი იყო თავისი მკვეთრად კრიტიკული სტატიებით აზერბაიჯანის ხელისუფლებისა და ოპოზიციის მიმართ. ის არაერთხელ გამხდარა დევნის ობიექტი და მთლიანობაში მისი საქმიანობიდან გამომდინარე, ჟურნალისტის წინააღმდეგ, 30–ზე მეტი სამოქალაქო და სისხლის სამართალწარმოება იყო აღძრული. 2005 წელს ჰუსეინოვი საკუთარ სახლთან ჩაცხრილეს.

სასამართლომ დაადგინა, რომ არ არსებობდა საკმარისი მტკიცებულებები იმის დასასაბუთებლად, რომ სახელწიფო გარკვეულწილად მონაწილეობდა ჰუსეინოვის მკვლელობაში, ან იცოდა (ან უნდა სცოდნოდა) მისი სიცოცხლისთვის რეალური საფრთხის არსებობის შესახებ და ვერ მიიღო ზომები მის დასაცავად. ასევე არ დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის (სიცოცხლის უფლება) მატერიალური ნაწილის დარღვევა, თუმცა, სასამართლომ მიიჩნია, რომ ჰუსეინოვის მკვლელობის ფაქტზე წარმოებული გამოძიება, რომელიც 12 წელზე მეტი გრძელდებოდა, არ იყო ეფექტური, ადეკვატური ან სწრაფი. სასამართლომ გამოძიების რიგი ნაკლოვანებების იდენტიფიცირება მოახდინა. კერძოდ, აზერბაიჯანის ხელისუფლებამ არ გამოიყენა მის ხელთ არსებული ყველა საშუალება, რათა იდენტიფიცირებული ყოფილიყო ორი ქართველი ეროვნების ეჭვმიტანილის სისხლის-სამართლებრივი დევნა, საქართვე-

ლოსთვის სისხლის სამართლის საქმის გადაცემით; ჰუსეინოვის მეუღლეს ხელი არ მიუწვდებოდა საქმის მასალებზე; ადაკვატური ნაბიჯები არ გადადგმულა იმის გამოსაკვლევად იყო თუ არა ელმარ ჰუსეინოვის მკვლელობა დაკავშირებული მის ჟურნალისტურ საქმიანობასთან.

ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულის სასამართლოს გადაწყვეტილებით, აზერბაიჯანის ხელისუფლებამ მოკლული ჟურნალისტის მეუღლეს 20 000 ევრო – მორალური ზიანის და 10 ათასი ევრო სასამართლო ხარჯების ასანაზღაურებლად უნდა გადაუხადოს.

8.2. ტაგაიევა და სხვები რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ

13 აპრილს ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულმა სასამართლომ ქალაქ ბესლანში (ჩრდილოეთ ოსეთი, რუსეთის ფედერაცია) განხორციელებულ ტერორისტულ აქტთან დაკავშირებით რუსეთის მხრიდან ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის დარღვევა დაადგინა.

საქმე ეხება 2004 წლის სექტემბერში ქალაქ ბესლანის სკოლაზე განხორციელებულ ტერორისტულ თავდასხმას, რომლის დროსაც ორმოცდაათ საათზე მეტი ხნის განმავლობაში მძიმედ შეიარაღებულ ტერორისტებს ათასზე მეტი ადამიანი, უმეტესობა ბავშვები დატყვევებული ჰყავდათ. ხელისუფლების შედეგად განხორციელებული შეიარაღებული ინტერვენციის შედეგად, 330–ზე მეტი ადამიანი დაიღუპა (მათ შორის 180 ბავშვი) და 750–ზე მეტი დაშავდა.

ადამიანს უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის (სიცოცლის უფლება) დარღვევა დაადგინა, რადგან რუსეთის ხელისუფლება ფლობდა საკმაოდ კონკრეტულ ინფორმაციას დაგეგმილი ტერორისტული თავდასხმის შესახებ და მიუხედავად ამისა, საკმარისი ზომები არ მიიღო მის ჩასაშლელად: არ შეაჩერა ტერორისტების გადაადგილება, არ გაზარდა სკოლის უსაფრთხოება, არ გააფრთხილა არც სკოლა და არც მოსახლეობა მოსალოდნელი საფრთხის შესახებ.

სასამართლოს დადგენილებით სახელმწიფომ დაარღვია კონვენციის მე-2 მუხლის პროცედურული ნაწილი, პირველ რიგში იმ მიზეზით, რომ გამოძიებამ ვერ შეძლო განესაზღვრა, იყო თუ არა დასაბუთებული სახელმწიფოს მიერ გამოყენებული ძალა; ასევე, უსაფრთხოების ოპერაციის დაგეგმვა და შემდგომი კონტროლი სერიოზული დარღვევებით განხორციელდა.

გარდა ამისა, უსაფრთხოების ძალებმა სათანადო სამართლებრივი რეგულაციების არარსებობის პირობებში, სკოლაზე შეტევის დროს გამოიყენეს მომაკვდინებელი იარაღი, (სატანკო ჭავლი, ყუმბარმტყორცნი და ცეცხლმფრქვევლები), რამაც დიდი მსხვერპლი გამოწვია. კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნებით – მომაკვდინებელი ძალის გამოყენება მხოლოდ „აბსოლუტური აუცილებლობის“ შემთხვევაში უნდა მოხდეს.

რუსეთის ფედერაციას დაზარალებულებისთვის 3 მილიონამდე ევროს კომპენსაციის გადახდა დაეკისრა.

9. სახალხო დამცველის აპარატის ამბები

9.1. სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის აპრილის აქტივობების შესახებ

აპრილში სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის თანამშრომლებმა პენიტენციური დეპარტამენტის სხვადასხვა დაწესებულებებში 23 ვიზიტი განახორციელეს და 85 პატიმარი მოინახულეს.

ვიზიტები სახალხო დამცველის აპარატში შემოსული განცხადებების და შეტყობინებების საფუძველზე დაიგეგმა. მონიტორინგისას დაფიქსირებული პატიმართა უფლებების სავარაუდო დარღვევების თაობაზე სახალხო დამცველის აპარატმა სახელმწიფო ორგანოებს მიმართა.

9.2. მომართვიანობის სტატისტიკა

აპრილის თვეში სახალხო დამცველის აპარატში შემოვიდა 771 განცხადება.

დასაშვებობის გავლის შემდეგ 552 განცხადება სამსახურების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა:

- პრევენციის და მონიტორინგის დეპარტამენტი — 19
- სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დაცვის დეპარტამენტი —39
- სს მართლმსაჯულების დეპარტამენტი —286
- რეგიონული დეპარტამენტი — 169
- ბავშვის უფლებათა დაცვის ცენტრი —39
- გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი —37
- შშმ პირთა უფლებების დაცვის დეპარტამენტი —

16

- ანალიტიკური დეპარტამენტი—9
- თანასწორობის დეპარტამენტი—16
- თავდაცვის სფეროში ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი—8



შემოსული განცხადებები თემატურად შემდეგ-ნაირად გადანაწილდა

- ჯანმრთელობის უფლება — 2
- შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება — 1
- ინფორმაციის მიღების უფლება — 39
- დისკრიმინაცია — 4
- გადაადგილების თავისუფლება — 1
- სისხლის სამართლის საქმის გამოძიების გაჭიანურება — 19
- განათლების უფლება — 1
- დევნილთა უფლებები — 10
- სოციალური დახმარებს საკითხი — 14
- შრომითი უფლებები — 6
- საკუთრების უფლება — 6
- უფლება სათანადო საცხოვრისზე — 5
- პატიმრობების პირობები — 184
- პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობა — 39
- წამება და არასათანადო მოპყრობა — 47
- ბავშვის უფლებები — 20
- გენდერული თანასწორობის და ქალთა უფლებები — 32
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებები — 5
- სხვადასხვა — 322



აპრილის თვეში სახალხო დამცველის აპარატის **ცხელ ხაზზე** შემოვიდა 539 სატელეფონო ზარი, აქედან 230 მოქალაქეს ტექნიკური ხასიათის კითხვებზე გაეცა პასუხი, ხოლო 295 მოქალაქემ სხვადასხვა საკითხებზე სამართლებრივი კონსულტაცია მიიღო.

კონტაქტი

თბილისი:
ნინო რამიშვილის 6. თბილისი 0179
ტელ.: +99532 2234499 / 2913814 / 2913815 / 2913841 / 2913842 / 2913843 / 2913875 / 2913876 / 2913877
ფაქსი: +99532 913841
ელ-ფოსტა: info@ombudsman.ge

ოზურგეთი:
ჭავჭავაძის 14
ტელ.: 0496 27 30 53
მობ.: 593 44 44 27

ახალქალაქი:
ჭავჭავაძის 4
ტელ.: 0362 22 32 83
მობ.: 577 12 27 70;
591 96 88 82

ზუგდიდი:
კოსტავას 58
ტელ.: 0415 22 36 11
მობ.: 595 52 53 56

ბათუმი:
მაზნიაშვილის 9
ტელ.: 0422 27 05 44
მობ.: 595 80 78 43

მარნეული:
რუსთაველის 51
ტელ.: 0357 22 19 70
მობ.: 595 52 53 57

გორი:
სამების N1
ტელ.: 0370 27 05 49
მობ.: 551 66 14 77

ქუთაისი:
რუსთაველის 18
ტელ.: 0431 25 33 50
მობ.: 577 55 33 81

თელავი:
ჩოლოყაშვილის 3
მობ.: 591 88 35 38
ტელ.: 0350 27 99 27

ცხელი ხაზი – 1481

რედაქტორი: თეონა გოგოლაშვილი
სარედაქციო კოლეგია:
ნიკო თათულაშვილი
ლევან მესხორაძე